

შოთა რუსთაველის პროსპ. №28/ალ. ჭავჭავაძის ქ. №2

(წინასაპროექტო არქიტექტურული კვლევა)


საკვლევი შენობა რუსთაველის პროსპექტისა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩების შესაყართან მსხვილი მასშტაბით იქცევს ყურადღებას.



რუსთაველის პროსპ. №28/ალ. ჭავჭავაძის ქ. №2.

ისტორიულად რუსთაველის გამზირი გარეთუბნის ნაწილია. შუა საუკუნეებში ის დაუსახლებელი იყო. პირველი შენობები აქ XVII საუკუნეში ჩნდება. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზე აღნიშნულია თავად ციციშვილის სახლი და ახლოებით პირველი გიმნაზიის ადგილას. მოპირდაპირე მხარეს იდგა ქაშვეთის წმ. გიორგის ძველი ეკლესია, რომელიც გიგი ამილახვარმა 1753 წელს ააგო. სხვა მნიშვნელოვანი შენობები ამ დროს აქ არ ჩანს.

ტერიტორიის ინტენსიური განაშენიანება რუსული ხელისუფლების დროს 1830-40-იან წლებში დაიწყო. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა გოლოვინის პროსპექტი და მისი მიმდებარე კვარტლები მევისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვის დროს (1844-1854). 1860-იანი წლებისთვის ქუჩების ქსელი უკვე მთლიანად ჩამოყალიბდა. XIX საუკუნის ბოლოდან გოლოვინის პროსპექტზე დაიწყო ძველი სახლების აღება და მათ ადგილას ახალი, უფრო დიდი – თანამედროვე სახლების აშენდა.



გოლოვინის პროსპექტი. 1910-იანი წლები.

ჩვენთვის საინტერესო შენობა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებს განეკუთვნება - სამსართულიანმა შენობამ, რომელიც გოლოვინის პროსპექტის თანაბარ რიტმსა და მასშტაბს შექსაბამებოდა, დღევანდელი სახე საბჭოთა წლებში მიიღო, როდესაც მას 1930-იანი წლების ბოლოს ორი სართული სართული დააშენეს.

1880-იან წლებში ამ შენობაში იყო განლაგებული ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალ „ივერიის“ რედაქცია.

საბჭოთა წლებში შენობის დიდი ნაწილი დაწესებულებებს ეკავა. მის პირველ სართულზე კი ბილო დრომდე თბილისში ცნობილი წიგნის მაღაზია - „საუნჯე“ მდებარეობდა.



გოლოვინის პროსპექტი. 1930-იანი წლები.


1930-იანი წლების საარქივო ფოტოსურათზე დაფიქსირებულია საკვლევ შენობაზე მეოთხე და მეხუთე სართულის დაშენების პროცესი. ახალი სართულების ლიობების რიტმი არსებულს შეესაბამება, რიტმულად მეორდება აივნებიც.

ფსევდო კლასიცისტური და რენესანსული არქიტექტურული მოტივებით გაფორმებულმა ფასადებმა რამდენჯერმე ჩატარებული რეაბილიტაციის შედეგად ცვლილებები განიცადა.

მთავარი ფასადის ყველა სართულზე მეორდება ლიობების თანაბარი რიტმი – პირველი სართული თავიდანვე სავაჭრო ობიექტებს ეთმობოდა და ის ყოველთვის დიდი ზომის ვიტრინებით იყო გახსნილი. უკანასკნელ დრომდე ეს ლიობებიც თაღოვანი იყო და 2007 წლის რეკონსტრუქციის დროს შეიცვალა სწორგუთხა ვიტრინებით.

მეორე და მესამე სართულებზე თაღოვანი ლიობებია გამოყენებული, საბჭოთა პერიოდში დაშენებული კი მათ მდებარეობას შეესაბამება და სწორგუთხა

მიხაზულობისაა. დიობებს შორის აღმართული მაღალი კორინთული კაპიტელებით გასრულებული პილასტრები.



რუსთაველის პროსპ. №28. 2006 წელი ქრისტინე დარჩიას ფოტო.

შენობას საბჭოთა წლებშივე მეოთხე და მეხუთე სართულებს შორის, ორივე ქუჩის ფასადის გაყოლებით ძლიერად შვერილი, აკანთის ფოთელის მოტივით გაფორმებული ქვის კრონშტეინებზე შეკიდული კარნიზი გაუკეთდა, რის შემდეგაც ბოლო სართულმა ატიკის სახე მიიღო. შენობის ძირითადი მასიდან ბოლო სართულის გამიჯვნის ამგვარმა ხერხმა, ვიზუალური აღქმისთვის რამდენადმე შეამცირა და პროსპექტის განაშენიანების ხასიათს დაუახლოვა მისი მასშტაბი.

როგორც აღვნიშნე, შენობის მთავარი ფასადის პირველმა სართულმა რამდენჯერმე იცვალა სახე. მათ შორის განაპირა ვიტრინის წინ, რომელიც გარკვეული პერიოდით კარად გადაკეთდა, მოეწყო რამდენიმე საფეხურიანი ბაზალტის კიბე. 2007 წლის რეკონსტრუქციის დროს შეიცვალა ვიტრინების ჩარჩოებიც და მათ ტლანქი ფრამუგებით დასახსრული ხის ჩარჩოები მოარგეს.



რუსთაველის პროსპ. №28. 2012 წლის ფოტო. კარის ღიობი და კიბე სადარბაზოს
მიმდებარედ.

ამჟამად ღიობების ხის ჩარჩოები ხის თხელი მოჩარჩოებით არის შეცვლილი,
ვიტრინები კი ერთიანი, დაუნაწევრებელი მინებით შეიგსო. ამასთან, გაუქმდა
მოგვიანებით გაჭრილი კარი და მის წინ არსებულმა რამდენიმე საფეხურიანმა
კიბემაც ფუნქცია დაკარგა.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია რუსთაველის პროსპ. №28-ში მდებარე შენობის პროსპექტის გასწვრივ ჩამწკრივებულ ვიტრინებზე საჩრდილობლების მოწყობა და შენობის წინ სკამებისა და მაგიდების განთავსება. ასევე, ერთ-ერთი კარის წინ მოგვიანებით მოწყობილი რამდენიმე საფეხურიანი ბაზალტის კიბის დემონტაჟი.



რუსთაველის პროსპ. №28. საპრიექტო სეგმენტი.

ამგვარი ჩარევა – ვიტრინების ღიობების ერთიანი დიზაინით მოწესრიგება და მათზე სადა, კორექტული ზომის მქონე საჩრდილობლების დამაგრება – არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დასაშვებია.

ასევე მისაღებია ფუნქციადაგარებული კიბის დემონტაჟი, რომელიც შემოჭრილია შენობის წითელი ხაზის გარეთ. ის არ წარმოადგენს შენობის თავდაპირველ ელემენტს და მოგვიანებით, მას შემდეგ, არის აგებული, რაც აქ კარი კაიჭრა.

შენობის პირველი სართულის ფასადი არაერთხელ შეიცვალა, თუმცა პირვანდელი სქემა შენარჩუნებულია. დროთა განმავლობაში მრავალჯერ გადაკეთდა ინტერიერიც. ამჟამადაც დასაშვებია იმგვარი ჩარევა, რომელიც არ დააზიანებს შენობის კონსტრუქციას და გაითვალისწინებს შენობის არქიტექტურულ მახასიათებლებს – საჩრდილობლების მოწყობა და კიბის დემონტაჟი ამ თვალსაზრისით დასაშვებია.

საჩრდილობლების ფერები არ უნდა იყოს ძალიან თვალის მომჭრელი, რომ არ გამოიწვიოს ფასადის ზედმეტად აჭრელება. მისაღებია ნეიტრალური ტონების გამოყენება.

ასევე, დასაშვებია შენობის წინ, სკემებითა და მაგიდებით აღჭურვილი, ლია სივრცის მოწყობა – მისი იმგვარად დაგეგმარება, რომ ხელი არ შეუშალოს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

